# მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულება № 7

ქ. ზუგდიდი                                                                 5 მარტი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N6 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან მატკავას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ლაბორატორიული კვლევის ცენტრი , მისი დირექტორის გრიგოლ რუხაძის(შემდგომში - შემსრულებელი) სახით. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია ლაბორატორიული მომსახურეობის შესყიდვა (CPV:71900000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

შესასრულებელი მომსახურეობის საერთო ღირებულება შეადგენს 86(ოთხმოცდაექვს) ლარს და მოიცავს მომსახურეობასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1 შესრულებული მომსახურეობა ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული მომსახურეობის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა**

4.1.მომსახურეობის შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. N146

4.2. მომსახურეობა უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10კალენდარული დღის განმავლობაში.

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის შესრულება. კერძოდ:

- სკოლის სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა.
- ---------------------------------------------------------------------------------.

.

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 7. მომსახურეობის შესრულების გარანტია**

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურეობის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

7.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 8. ფორსმაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 5 მაისის ჩათვლით.

**მუხლი 13. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**შემსყიდველი:**

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №6 საჯარო სკოლა
მის. : ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. N146
ს/კ 219985185
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE27LB0121165873728000
ტელ.: 551094240
ელ.ფოსტა. zugdidi6@mesgov.ge

**დირექტორის მ/შ ქეთევან მატკავა**

---------------------------------------------------
(ხელმოწერა) ბ.ა

**მიმწოდებელ**
**შ. პ. ს. ლაბორატორიული კვლევის ცენტრი**
ს/კ215139348
მის.: ქ. ფოთი მიქაბერიძის N2
ტელ.: 599506162
ელ.ფოსტა. kvleviscentri@mail.ru
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE12LB0113140194132000

**დირექტორი გრიგოლ რუხაძე**

---------------------------------------------------
(ხელმოწერა)

დანართი N1

| N | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი | CPV -კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა . | | 1 | 86 | 86 | 71900000 |

**შემსყიდველი:**

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №6 საჯარო სკოლა
მის. : ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. N146
ს/კ 219985185
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE27LB0121165873728000
ტელ.: 551094240
ელ.ფოსტა. zugdidi6@mesgov.ge

**დირექტორის მ/შ ქეთევან მატკავა**

-----------------------------------------------------------
(ხელმოწერა) ბ.ა

**მიმწოდებელ**
**შ. პ. ს. ლაბორატორიული კვლევის ცენტრი**
**ს/კ**215139348
მის.: ქ. ფოთი მიქაბერიძის N2
ტელ.:-599506162
ელ.ფოსტა kvleviscentri@mail.ru
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE12LB0113140194132000
ელ.ფოსტა. kvleviscentri@mail.ru

**დირექტორი გრიგოლ რუხაძე**

-----------------------------------------------------------
(ხელმოწერა)